

დოკუმენტების ცენტრი ახალქალაქში

საქართველოში მიწის კადასტრი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია, ათასობით მესაკუთრემ დღემდე არ იცის მისი ნაკვეთის რეალური ფართობი. მიწის ნაკვეთების ზუსტი საზღვრების დადგენა ვერ ხერხდება, ადგილი აქვს მომიჯნავე ფართობების გადაფარვას, რაც ხშირად მეზობლებს შორის დაპირისპირებისა და სასამართლო დავების მიზეზიც ხდება. იმ მიწების დიდი ნაწილიც, რომელიც ოფიციალურად რეგისტრირებულია (არსებული მონაცემებით, მთლიანი ფართობების 20%-ია რეგისტრირებული), არასწორადაა აზომილი. თავის დროზე, მოქალაქეებმა მიწებზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები ისე მიიღეს, რომ მას საკადასტრო მონაცემები თან არ ახლდა, რამაც მიწების აღრიცხვის მიმართულებით დიდი გაუგებრობები შექმნა.



ასეთ ვითარებაში ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია არარატ ჰოვანესიანის მიერ ახალქალაქში გახსნილი დოკუმენტების ცენტრი. მისი თქმით, კომპანიების უმრავლესობა მიწას ხელსაწყოების გარეშე, ოფისიდან გაუსვლელად ზომავს, რაც გადაფარვებს იწვევს და ზუსტი ნახაზი ვერ დგება.

აზომვით საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხიან ხელსაწყოებს, რომლებიც ღია და დახურულ სივრცეებში ახორციელებენ აზომვით სამუშაოებს. მაღალი ხარისხის აზომვითი ხელსაწყოს შეძენა არარატ ჰოვანესიანმა და თავისმა პარტნიორებმა, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით და LAG-ის აქტიური მხარდაჭერით შეძლეს.

“LAG-ის წევრები ადგილობრივები არიან და მათ ზუსტად იცოდნენ, რა მნიშვნელობა ჰქონდა აზომვების კუთხით რეგიონში ხარისხიანი სერვისის არსებობას. მათი დახმარებით მოვამზადეთ საგრანტო წინადადება, მივიღეთ დაფინანსება, რომლის საშუალებითაც მაღალი სიზუსტის გეოდეზიური GPS აპარატი შევიძინეთ. აღნიშნულ აპარატს შვეიცარული კომპანია LEICA აწარმოებს და ის მონაცემთა ალების სიზუსტით გამოირჩევა”, - ამბობს დოკუმენტების ცენტრის დამფუძნებელი.





გრანტის სახით მიღებული თანხით საოფისე ტექნიკაც შეიძინეს და დღეს სრული დატვირთვით ემსახურებიან რეგიონის მოსახლეობას. ზომავენ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, შენობა-ნაგებობებს და წარსულში არასწორად შედგენილ ნახაზებში ხარვეზებსაც ასწორებენ. მაგრამ ეს სრული ჩამონათვალი არ არის იმ სერვისებისა, რასაც ცენტრი ადგილობრივებს სთავაზობს.

“გადწყვიტეთ, აზომვითი სამუშაოების გარდა, სრული მომსახურება გავუწიოთ ჩვენ კლიენტებს. ანუ ეს არის სრული ციკლი, რომელიც იწყება წერტილების აღებით და მთვარდება საჯარო რეესტრში უხარვეზო ამონაწრის მიღებით. მომხმარებლები თანხას მხოლოდ აზომვით ნახაზში იხდიან, დანარჩენ მომსახურებას კი უსასყიდლოდ ვახორციელებთ”, - აცხადებს არარატ ჰოვანესიანი.

ცენტრის თანამშრომლები რეგიონის მასშტაბით, საკუთარი ავტომანქანებით ემსახურებიან მომხმარებლებს, უქმნიან მათ სრულ კომფორტს, პანდემიის პირობებში საჯარო რეესტრში ვიზიტსაც უგეგმავენ და ბოლომდე აკონტროლებენ უძრავი ქონების დარეგისტრირების პროცესს. ცენტრი მოსახლეობაშიც უკვე მაღალი ნდობით სარგებლობს. კმაყოფილი და ნდობით განმსჭვალული მომხმარებელი კი ნებისმიერი ბიზნეს-საქმიანობის წარმატების საწინდარია.



ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახაქაქაქი პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პაჩნოიხები აჩიან მეხის ქოფხი, ELVA საზოგადოებრივი ჩაჩთურობა და დასავდეთ კოჩკის განვითარების პაჩნოიხოობა.

ევროკავშირის მხახს უჭეხს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საეჩთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძიჩითადი მიზანი საქართველოში სოფლად სილაჩიბის დაძდევაა. პროგრამის პიჩვედი ფაზის პიჩოგიგეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხორო მეოჩე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესადგებობების გაზიხდას. დამატებითი ინფოჩმაციისათვის იჩიდეტ ვებ-გვეჩიდე: www.enpard.ge.